

რა არის ეს? ამ პატარა ფრაგმენტის
წარმომავლობის შესახებ
ინფორმაცია იხილეთ მე 9 გვერდზე



Supported using public funding by
**ARTS COUNCIL
ENGLAND**

POTI

ფრაგმენტები


პროექტის გაზეთი გამოსცა ბრენდან ჯექსონმა, 2015 წლის ნოემბერში კოლხური კულტურის მუზეუმთან და ვალერიან გუნიას სახ. ფოთის სახელმწიფო თეატრთან ერთად.



პორტის დამატებითი სურათები იხილეთ მე-5 გვერდზე და შეიტყვეთ მეტი ცნობილ შუქურაზე



ამ ტერიტორიაზე პორტი თავდაპირველად ააშენა ნიკოლაძემ. პორტი წარმოადგენდა დასაქმების პირველად წყაროს გასულ საუკუნეში. შავ ზღვაზე ყველაზე დიდი პორტია, ამავე დროს ყველაზე დიდი ტვირთბრუნვის ოპერატორია კავკასიაში. პორტს გააჩნია 15 მისადგომი, სადაც ხდება საერთო, თხევადი, დაუფასოებელი ტვირთით დატვირთული ხომალდების მიღება/გასტუმრება და სარკინიგზო ბორანების მომსახურება. პორტი ემსახურება. 600,200 20 ფუტის მოცულობის კონტეინერების და 9 მილიონი ტონა ტვირთის მიღება-გაგზავნას; პორტში დასაქმებულია 1100-ზე მეტი თანამშრომელი.



ეს გახლავთ აღნიშნული ტერიტორიის ყველაზე ადრეული რუქა, სადაც დატანილია მე-16 საუკუნის თურქული ციხე-სიმაგრის მდებარეობა, სწორედ ამ ციხის ნანგრევების ადგილას ჩაეყარა საძირკველი საათის კოშკს. ამ ადგილას იკრიბებოდნენ მონები, ახალგაზრდა ქალბატონები და მამაკაცები, რომლებსაც გემებით ამგზავრებდნენ სტამბულში და სწორედ აქედან გადიოდა ეს გემები, ამიტომაც ამ ადგილს ჰქონდა საკმაოდ უარყოფითი დატვირთვა. რუსების შემოსვლის დროს, რამდენადაც თურქები ისევ განლაგებული იყვნენ ბათუმში, ფოთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სასაზღვრო ქალაქს. ფოთი წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქს რუსებისთვის. მათ ხის კონსტრუქციები დაამონტაჟეს ფუნდამენტის სათავეებზე. როდესაც ნიკო ნიკოლაძე შეუდგა ქალაქის აღორძინებას, მან მოშალა ეს კონსტრუქციები და ქართული სტილის აივანი მოაშენა მის გარშემო ხოლო კოშკის თავზე საათი დააყენა. ეს შენობა იქცა ქალაქის მუნიციპალიტეტის პირველ შენობად. იგი შეეცადა უფრო პოზიტიური მნიშვნელობა მიენიჭებინა შენობისთვის. ქალაქის მერად ყოფნის პერიოდში ის ამ კოშკში ცხოვრობდა. ჩემთვის ეს კოშკი წარმოადგენს თურქებსა და რუსებზე გამარჯვების; თვითმმართველი ქალაქის სტატუსით სახელის მოხვეჭის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლევადიან პერიოდის სიმბოლოს.

ფოთი არასოდეს ყოფილა მოგზაურებისთვის საყვარელი ქალაქი, რომელთაც ყოველთვის ეჩქარებოდათ ქალაქის დატოვება პირველივე მატარებლით ან საფოსტო ურიკით. ვგამკვლევს მიხედვით მალარიის გამო საკმაოდ სახიფათოა ფოთში ერთი ღამის გათევაც კი, მაშინ როდესაც იქაური მკვიდრნი აღშფოთებას გამოთქვამენ ამ ფაქტის გამო და ირწმუნებიან ასეც რომ იყოს, უმჯობესია ეს დაავადება შეგეყაროთ ფოთში ვიდრე სოხუმსა და ბათუმში გავრცელებული ეპიდემიები, რამდენადაც გამოჯანმრთელება ფოთში უფრო ადვილია.
ჩარლზ მარვინი, 1883

არქეოლოგს იქ საოცარი საგანძური ელის, მუშები კი მაინც ცოტანი არიან. ამ რთული და თითქმის ამოუცნობი წარსულის საკვრველი შეგრძნების განცდით, მოგზაურს მაინც არ ტოვებს შეუცნობელი მომავლის უცხო შეგრძნება... საბოლოოდ დავადგინეთ და ვნახეთ, რომ იქ არაფერია გასაკეთებელი ბრიტანელებისთვის, ჩვენ გავგახსენდა მარკ თაპლი - ედენის ჭაობებში, რომელიც უნდა ჰგავდეს ფოთს, მხოლოდ აქაურობა უფრო მშვენიერია და ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა ქალაქი. თუმცაღა იქ სანახავი ვერაფერი ვნახეთ.
ჯეიმს ბრაისი, 1876




ბრინჯაოს აბზინდა ზედაპირი ორნამენტით დამუშავებულიძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნე

ის დაეთანხმა ალპური კლუბის სხვა წევრებს: განებივრებული მოგზაური მოიყვამ გარკვეულმა სიბრაზის გრძნობამ, როდესაც მან აღმოაჩინა, რომ ქალაქი არსებობს ძირითადად იქ მაცხოვრებელთათვის და რომ იქ არ არის მისთვის საინტერესო ფერადოვანი ქუჩები ან ღირშესანიშნავი ადგილები. გაცხილებით მალე ვიდრე ამას მოველოდით აღმოვჩნდით მდინარის სათავესთან და ფოთთან ახლოს, სადაც წყალი იმდენად დატბორილი იყო, რომ აქაურობა ხმელეთს ნაკლებად მოგაგონებდათ, რადგან ფოთი დგას მომხიბლავ ჭაობზე.
ფ.სი. გრუესი 1874

ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გახდეს საქართველო ისეთივე პოპულარული საკურორტო ადგილი, როგორცაა ნორვეგია ან შვეიცარია. ის არც ისე შორსაა როგორც ეს ხალხს წარმოუდგენია: ხმელეთით ინგლისიდან საქართველომდე მგზავრობას მონადღობით ერთ კვირას; ის ისეთივე ლამაზია, როგორც ზემოხსენებული ქვეყნები; მას უზარმაზარი პრიორიტეტი აქვს იმ კუთხით, რომ უცხო ქვეყანაა ტურისტებისთვის; იქ ვერ შეხვდებით გამოძალავებულს, რაც გვაღიზიანებს ჩვენი სამშობლოს სამეზობლოში და ამასთანავე აქ მოგზაურობა ბევრად უფრო იაფია ვიდრე შოტლანდიაში. ზემოხსენებულმა ფაქტორებმა უნდა მოხიბლოს დამსვენებელი, რომელიც ეძიებს ჯანმრთელობასა და დასვენებას.
ჯეიმს ოლივერ უორდროფი 1888

ნიკო ნიკოლაძეს (1843-1928) ეკუთვნის რიგი სოციალური და ეკონომიკური პროექტების განხორციელება, მათ შორის საქართველოს რკინიგზის სისტემის გაფართოება და გროზნო-ფოთის მილსადენის კონსტრუქციები. 1894 -1912 წლებში ის გახლდათ ქალაქ ფოთის მერი. ამ პერიოდის განმავლობაში მან აქცია ეს პატარა საპორტო ქალაქი შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ქალაქად და სავაჭრო ცენტრად. ეს არის საანგარიშე (abacus), რომელსაც სამუშაო დროს იყენებდა.




‘ნიკომ აღნიშნა, რომ ეს არის მომავლის ქალაქი. ბავშვობიდან მესმის, რომ ფოთი მომავლის ქალაქია, მაგრამ რეალობაში ამას ვერ გრძნობ. როდის დადგება ეს მომავალი? მე ძალიან შორს ვარ პოლიტიკიდან, მაგრამ არ მგონია წინამორმედიან ამჟამინდელ მთავრობას რაიმე გავკეთებინა ამ ქალაქისთვის. აქ ხალხი ბიზნესს აწარმოებს და ფულს გზავნის სხვაგან. როდის დაუბრუნდება რაიმე უკან ამ ქალაქს?’



‘მას შემდეგ რაც მას აქ პარიზის მერი შეხვდა, ყველა გაოცებული დარჩა, რომ ასეთი ჭკვიანი ადამიანი მუშაობდა იმ ადგილას; პარიზის მერმა მას გაუგზავნა სამაგიდო ნივთი, ბაყაყის ფორმის სანათი და იხუმრა, რომ ეს საჩუქარი ეკუთვნოდა ‘ფროგენბურგის (Frogenburg) მერს’. ჩვენს ხელთ არ არის ორიგინალი ნივთი, მხოლოდ მისი ფოტოა შემოჩენილი.’






ჩრდილოეთით რუსეთის არმიამ მასიურად განადგურა ან განდევნა ჩერქეზები. თურქებს უკან დაახევინეს. მეფეს გადაწყვეტილი აქვს შეუკვეთოს შუქურა ფოთის პორტისთვის. აღნიშნული შუქურა, უძველესი სანავიგაციო საშუალებაა შავი ზღვის სანაპიროზე. შუქურა დამზადდა თუჯის მასალით ინგლისში 'ისთონ და ეიმოს'-ის მიერ, საუთარქი, ლონდონი, შემდგომ გემით ნაწილებად ტრანსპორტირება განხორციელდა საქართველოში 1864 წ. დიზაინი სავარაუდოდ ეკუთვნის თომას თელფორდის პროტექტს- ალექსანდრე გორდონს, რომელიც სპეციალიზირდებოდა თუჯის შუქურების მშენებლობაში.

შუქურა შეკრულია ათასობით ბოლტით. აღმართულია 36,9 მეტრ სიმაღლეზე, რაც წარმოადგენს ქალაქის ყველაზე მაღალი წერტილს. მსოფლიოში ყველაზე მაღალი რკინის შუქურა მდებარეობს გიბს პილში, ბერმუდა, რომლის სიმაღლეა 40,8 მეტრი და ასევე შექმნილია გორდონის მიერ. მის მიერ აგებული სხვა შუქურები დგას მორანის ყურეში, იამაიკაზე, ბარბადოსზე, ავსტრალიაში, ნიუფაუნდლენდში, კეთილი იმედის კონცხზე (Cape of Good Hope), ცვილონში.



მსგავსი შუქურის კონსტრუირება 1860 წელს ლობოსის რიფზე დაჯდა 19,000 გირვანქა განსაკუთრებული სინათლის კამერისა და გასანათებელი აპარატის გამო (ამჟამად აღნიშნული თანხის ექვივალენტი შეადგენს 815,000 გირვანქას). ფრესნელის ლინზა დაამზადა ფრანგმა მწარმოებელმა, რომელიც იმ დროისთვის ამგვარი პროდუქციის გამოჩენილი მწარმოებელი გახლდათ. ფოთის შუქურა წამოადგენს ქალაქის ძირითად სიმბოლოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დროშაზე. შუქურას აქვს ნამდვილი გასაღები და მისი მხოლოდ ერთ ეგზემპლარი არსებობს.



'80 ადამიანზე მეტია დასაქმებული ჰიდროლოგიურ სამსახურში, რომლებიც მუშაობენ უსაფრთხო ნავიგაციაზე, მეტეოროლოგიასა და კარტოგრაფიაზე. ჩვენ ვსწავლობთ ზღვას, ბატიმეტრიას, სიღრმეებს, მოძრაობებს და დინებებს. დიდი ოდენობით მასალა დაიკარგა საბჭოთა კავშირის წგრევასთან ერთად, ინფორმაცია დაიკარგა ან განადგურდა და ახლა ვეძებთ სათითაო ფურცელს, ჩანაწერებს და ვცდილობთ აღვადგინოთ მონაცემები.'

/მარცხნივ/ წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი კომეტის მაკეტი, რომელსაც ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელი გემოსარემონტო ქარხანა აწარმოებდა



'მდინარე, ჩვენს უკანა ეზოში, ყველაზე ძლიერი მდინარეა საქართველოში. მას უხვი ნალექი ჩამოაქვს გურიის მთებიდან და გავლენას ახდენს მთელი ზღვის პერიმეტრზე ამ რეგიონში. ის ხშირად ბობოქრობს და დიდდება და ხუთ წელიწადში შეუძლია შეცვალოს მთელი სანაპირო თუ ამის თავისუფლებას მისცემთ. ამიტომ ვცდილობთ ის ვაკონტროლოთ და სწორი ფორმით შევინახოთ მონაცემები. ყოველი შტორმის შემდეგ ფოთის პორტს ესაჭიროება ფსკერის გასუფთავება. მდინარის კალაპოტის დარეგულირებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ყველაზე ღრმა წყალი პორტის შესასვლელ გზასთან მხოლოდ 10 მეტრს შეადგენს, რაც ხელს უშლის დიდი გემების შემოსვლას და ამიტომ მუდმივ ამოტუმბვას საჭიროებს.'

ძველი თეატრის საკრიმინოს კარი



თბილისში სახელგანთქმული რუსთაველი თეატრის დაარსებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, 1882წ პირველი სპექტაკლები დაიდგა ფოთში, ეს ახლდათ აკაკი წერეთლის 'ბუტიაობა' და ალექსანდრე ტუტაევის 'სოფი'. თეატრალური წარმოდგენები თავდაპირველად იმართებოდა საზოგადოებრივ კლუბში 'კომეტა', სადაც დამონტაჟებული იყო სცენა, ხოლო მოგვიანებით კლუბმა შეიძინა კინოთეატრის ფუნქცია. 1925 წლისთვის ეს დარბაზი იქცა პროფესიონალურ თეატრად, რომელიც ცნობილი იყო მშრომელთა თეატრის და ბერიას თეატრის სახელებით, ამ დარბაზში რევოლუციური კომიტეტები ხშირად თავიანთი გამოსვლებით დიდებას ასხავდნენ მშრომელებს და გლეხებს. მას შემდეგ რაც 1936 წელს მუდმივი დასი ჩამოყალიბდა მათ ტაძრის შენობა გადაეცათ თეატრად სარგებლობის სახით. 1963 წელს თეატრს სახელი გადაერქვა ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის საპატევსაცემოდ და ეწოდა ვალერიან გუნიას (1862-1938); იგი დაიბადა სოფელ ეკისტან ახლოს) სახელობის თეატრი. მხოლოდ 2005 წელს დაუბრუნდა ტაძარს რელიგიური სტატუსი და თეატრმა ფუნქციონირება განაგრძო ფოლკლორული ხელოვნების კულტურის ცენტრში. მოხდა ახალი თეატრის დაგეგმარება და მშენებლობა, რომელიც 2014 წელს გაიხსნა. დღესდღეობით გარდა ადგილობრივი წარმოდგენებისა, თეატრი მოგზაურობს საქართველოს გარშემო და მართავს წარმოდგენებს, ისევე როგორც საზღვარგარეთ სადაც მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ფესტივალებსა და შეხვედრებში.

'ფოთთან დაკავშირებული ჩემი ბავშვობის მოგონებები - დიდი მწვანე მოედანი, ბალი ქალაქის ცენტრში, სადაც დგას სასახლე და ულამაზესი პატარა თეატრი, თეატრი დღესდღეობით სრულად აღდგენილია. ეკლესია და მოედანი თითქოს ყოველ წელს პატარავდება...'



სლავომირ მროჟევის 'ემიგრანტები'-ს ადაპტირება დარიუს ივზერკსის მიერ, რომელიც დაიდგა მსახიობებ გიორგი სურმაგასა და რამაზ იოსელიანთან თანამშრომლობით და შესრულებული თეატრის სარდაფში.




‘ამ ქვეებს აღამიანს ჰკილებდნენ. ეს არის ცოდვის ან დანაშაულის ქვა. ერთი ქვა, ერთი ცოდვა, ორი ქვა, ორი ცოდვა. პიროვნებას არასწორი საქციელისთვის ამ ქვეებს ჰკილებდნენ კისერზე, ერთს, ორს, სამს, ოთხს, ხუთს. რაც უფრო დიდი იყო ცოდვა, მით უფრო დიდი იყო ქვა. საინტერესოა ამ პერიოდში, რომ მეცხოვრა რამდენ ქვას ვატარებდი?’ ეს არის ძვ.წ. აღ. 700 წლები. ზუსტად არ ვიცი როდინდელი. ზოგიერთ მსგავს ტრადიციას შეხვდებით სხვაგანაც, მაგ. სვანეთში, მთებში.’

‘ეს არის ბრინჯაოსგან დამზადებული კოლხური ნაჯახი. მსგავსი იარაღები აღმოჩენილია ხეთურ კულტურაში ეს იმას მოწმობს, რომ კოლხები წარმოადგენდნენ აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციის ნაწილს. თუმცა, ეს ნაჯახი მოდიფიცირებულია და დამშვენებულია ადგილობრივი ორნამენტებით, რაც თავისთავად აღასტურებს, რომ იმ ეპოქის მოსახლეებს შეეძლოთ არა მხოლოდ განვითარებული ტექნოლოგიების შეთვისება, არამედ შეეძლოთ ამ ტექნოლოგიების ტრანსფორმაცია საკუთარ კულტურაში. საბოლოოდ, როდესაც მათ შეწყვიტეს ბრინჯაოს ნაჯახების გამოყენება საბრძოლო იარაღად და ჩაანაცვლეს რკინის შუბებით, ეს ბრინჯაოს ნაჯახები იქცა სარიტუალო საგნებად. სამწუხაროდ, ყველა ისტორიკოსი ღარიბია, სამაგიეროდ ჩვენ უაღრესად მდიდრები ვართ უძველესი ისტორიით. ამ ქვეყანას ურთიერთობა აქვს მთელს უძველეს აღმოსავლეთთან, ისევე საბერძნეთთან, რომთან, არაბულ და ბიზანტიურ იმპერიებთან.’



‘ეს არის ფაიფურის თევზის ფრაგმენტი დალიანების სასახლიდან ზუგდიდიდან. 1850 წ. თურქეთ - რუსეთის ომის დროს, თურქებმა დაარბიეს და გაძარცვეს სასახლე, წაიღეს უამრავი ძვირფასი ნივთი. პორტრეტზე გამოსახულია ოჯახის უფროსი, დავით დადიანი. ეს თევზი იმ ნივთებს შორის იყო, რომლებიც თურქებმა გაიტაცეს; ის სავარაუდოდ გზაში გატყდა, ალბათ გზად მოისროლეს და სწორედ ასე იქნა აღმოჩენილი თევზი. იმ უზარმაზარი სიმდიდრიდან, რაც დალიანების სამფლობელოში არსებობდა, მხოლოდ რამოდენიმე ნივთიღა შემორჩა.’



‘პეროლოტე წერს, რომ ძვ.წ. აღ. V საუკუნეში კოლხეთი იყო სპარსული პროტექტორატი. სპარსელები ქართველებს უწოდებდნენ ‘მგლებს’, რამდენადაც იმ დროისთვის საქართველოში არსებობდა მგლის კულტი, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო და ხანგრძლივი პერიოდი გასტანა. ჩვ. წ. აღ. VI საუკუნეში მეფობდა ვახტანგ გორგასალი, სწორედ მან გადმოიტანა დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში, ის ყოველთვის განსახიერებული იყო მგლის თავით და მგლის ტყავით მხრებზე. სწორედ ამიტომ ეძახდნენ სპარსელები საქართველოს მგლების მიწას.’



‘ეს ფიგურა თარიღდება ძვ.წ. VI საუკუნით და მოწმობს კოლხი ხალხის წინა-ქრისტიანულ რწმენას. ეს არის ნაყოფიერების ქალღმერთის ფიგურა. მას ერქვა ყველა ღმერთის დედა. ჩვენს ხელთ ასევე არსებობს ჩიტების ფიგურები, სავარაუდოდ მტრელების - კეთილდღეობის და მშვიდობის სიმბოლოების. ყველა ეს ფიგურა უკავშირდებოდა თაყვანისცემას და გამოიყენებოდა რიტუალების დროს. ღმერთების დიდი დედა წარმოადგენდა მინათმომქმედებასთან დაკავშირებულ ნაყოფიერების ქალღმერთს. კიდევ ერთი ფიგურაა წარმოდგენილი - ცხენზე ამხედრებული ქალღმერთი. ეს გახლავთ ჩვენს მუზეუმში არსებული უნიკალური ნივთები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ერგნეთთან მიმდებარე ტერიტორიაზე.’

‘ქალაქი აშენებული იყო ზურვით ზღვისკენ. ეს რეგიონი არ მოიაზრებოდა გამხდარიყო ტურისტული. ყოველთვის ჰქონდა ინდუსტრიული სტატუსი, საესე ნავებით, გემებით, ფოლადით, ლითონით და კვამლით; ის შეიცვალა საბჭოთა კავშირის შემდეგ. მე ვთვლი, რომ ამ ქალაქს გააჩნია პოტენციური გახდეს ენერჯული და სპორტული რაიონი, ვიდრე წარმოადგენდეს მხოლოდ დასასვენებელ ან გასართობ სივრცეს. მას ჰქონდა ისეთი ტრადიციები, როგორცაა წყლის სპორტი, ნავით სვლა მდინარეზე და ცხენოსნობა. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება სტაბილურობა ქვეყანაში და ცოტაოდენი იღბალი.’



მალთაყვაში არის ‘ოქროს ტბა’, წყლის სპორტული კომპლექსი, სადაც 1991 წელს ჩატარდა წყლის სპორტის სახეობების ევროპის ჩემპიონატი. სწორედ აქ გახდა გენადი გურალაია ევროპული ჩემპიონატის ფინალისტი, რომელმაც მოახერხა გადახტომა 50,4 მეტრზე და მხოლოდ მესამე ადამიანი წყლის სათხილამურო სპორტის სახეობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის პერიოდში, რომელმაც გადალახა 50 მეტრიანი ბარიერი. კარიერის დაწყებისას 1984 წ. ის ბელორუსი ვიჩესლავ კონსტანტინეს ძე კობიალკოს ერთერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო. იმ დროისთვის მათ გააჩნდათ მხოლოდ ერთი წყვილი ხის თხილამური და ალუმინის ნავი გარე მოტორის გარეშე.

გემის მაკეტი, რომელიც ჩაშენებულია შუაში, შემოსულია მუზეუმში 1945 წ.



‘აუცილებლად უნდა იცოდეთ ქ.ფოთის ალექსანდრე დიუმასეული დახასიათების შესახებ, როდესაც მან იმოგზაურა ამ რეგიონში 1859 წ. ფოთი არის ხის სახლების გორა და როდესაც მოსიერნე ძროხები თავისუფლად ღმუიან და სახლის კედლებს გვერდების მოსაფხანად ეხახუნებიან, სახლები ირხევა.’

თუმცა, როგორც ფრანგი გურმანი, დიუმა საკმარისად მოხიბლა საინაუგურაციო ვახშმის მენიუმ (როდესაც ფოთს მიენიჭა საპორტო ქალაქის სტატუსი), იმდენად რომ სანამ გემს ელოდა გასამგზავრებლად, ჩანანერი გააკეთა თავის დღიურში.

- POTAGE** Julienne
- RELEVÉ DE POTAGE** Chou au porc frais
- ENTRÉES** Schislik, avec amélioration
- Rognons de porc sautés au vin** Poulets à la provençale
- RÔTI** Deux canards et douze merles
- ENTREMETS** Flageolets à l’anglaise
- Oeufs brouillés au jus de rognons**
- SALADE** Haricots verts
- DESSERT** Noix sèches, thé, café, vodka
- Premier service :** Vin de Mingrélie
- Deuxième service :** Vin de Kakétie
- Troisième service :** Vin de Gouriel



ღეტალი ფოთის პორტში, 1960 იანი წლები



ფრაგმენტები

ფოტოები/მოკლე ჩანაწერები/გაზეთი

პროექტის ინსპირაცია - კოლხური კულტურის მუზეუმი ფოთში.

გამოფენა წარმოდგენილი იქნება ვალერიან გუნიას სახელობის ფოთს სახელმწიფო თეატრში, ფოთი, საქართველო, 1-30 ნოემბერი, 2015 წ (დასაზუსტებელია!)

ბრენდან ჯექსონი გახლავთ დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ხელოვანი, რომელიც მუშაობს საარქივო მასალებზე და კულტურული მემკვიდრეობის კოლექციებზე. მისი პროექტების მიზანია ხალხსა და ადგილებს შორის ურთიერთობის აღმოჩენა, ისტორიულ ნივთებსა და თანამედროვე ეპოქას შორის მქონე კავშირზე დაკვირვებით. როგორც ხელოვანი, მისი მიზანია შეისწავლოს თემები, რომლებიც ნათელს ჰფენს და კითხვებს ბადებს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, პიროვნებებისა და საზოგადოების გამოცდილებებზე დაყრდნობით - აკავშირებს სხვადასხვა აზრებს, გამოცდილებებს და პერსპექტივებს.

Online @ www.brendanjackson.co.uk/poti

განსაკუთრებული მადლობა:

ფოთის მუნიციპალიტეტი;

თენგიზ ხუხია, ფოთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და მისი გუნდი;

ელენე გაბლიანი, კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორი და მისი გუნდი;

რევაზ ბაბილუა, სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის უფროსი;

ალექსანდრე დოლბაია, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი;

რუსუდან ძაძუა, სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური მედიის სპეციალისტი;

მარიკა ნადარაია, ადმინისტრაციის და ჩჰლ მენეჯერი, APM ფოთის ტერმინალი;

მავდა ნოვაკოვსკა, პროექტის ასისტენტი; ირინა ბარნაბიშვილი, თარგმანი.